

# შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016-2017 წლის ანგარიში

საანგარიშო წელი ინტერბიზნესის აკადემიისათვის იყო ძალიან ნაყოფიერი, წარმატებული, დატვირთული სხვადასხვა აქტივობებით, როგორც ადმინისტრაციის და სასწავლო პერსონალის, ასევე სტუდენტების ჩართულობით.

აკადემიის დირექტორი მონაწილეობდა უსდ და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის გამართულ შეხვედრებზე, სემინარებზე, კონფერენციებზე და ტრენინგებზე. კერძოდ, შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტთან, სადაც საუბარი იყო განათლებაზე, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტზე, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში კონფერენციაზე „ცვლილებები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში-განვითარებასა და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების ხელშეწყობა“, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ჩატარებულ ერობრივ ღონისძიებაზე, ქობულეთში ჩატარებულ საინფორმაციო სემინარ-კონფერენციაზე, რომელიც პროფესიული სწავლების სფეროში დაგროვილ გამოცდილების გაზიარებას მიეძღვნა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, უმაღლესი სასწავლებლების რექტორების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების შეხვედრაზე, სადაც განიხილეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გაგზავნილ ავტორიზაციის პროცედურების პროექტზე დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების და მოსაზრებების შეჯერების და დოკუმენტის საბოლოო სახით ჩამოყალიბების საკითხები, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე, რომელიც მიზნად ისახავდა ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემაში ბიზნესისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას და სისტემის პოპულარიზაციას და მიეძღვნა თემას: „სამუშაო ადგილზე სწავლების საუკეთესო პრაქტიკა“.

აკადემიის დირექტორი, როგორც საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის

დამფუძნებელი და გამგეობის წევრი, მჭიდროდ და ინტენსიურად იყო ჩართული ასოციაციაში მიმდინარე პროცესებში და მონაწილეობდა ასოციაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებებში, კერძოდ, ასოციაციის რიგით მე-4 ფორუმის მომზადებაში, ასოციაციის გამგეობის გაფართოებულ სხდომის მუშაობაში, სადაც განიხილეს საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ პროექტი და არჩეული იყო სკკა-ს მიერ ორგანიზებულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა მე-2 კონფერენციის ორგანიზატორად, რომელიც ჩატარდა უფლისციხეში და პროფესიული განათლების სიახლეებსა და გამოწვევებს მიეძღვნა.

ინტერბიზნესის აკადემიაში უკვე მეორედ განხორციელდა საქართველის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ინიცირებული და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“. აკადემიამ პროგრამა წარმატებით მიაწოდა 70-ზე მეტ მოსარგებლეს, რომლებიც სხვადასხვა პროფესიაში ან გადამზადდნენ, ან ახალ პროფესიას დაეუფლნენ. მიმდინარე წელს დამატებით შემუშავდა სასერთიფიკატო პროგრამები: გრაფიკა-ანიმაცია, ვებ-დიზაინი, ვებ-პროგრამირება, საოფისე პროგრამები (WORD, EXEL; PoverPoint); ადამიანური რესურსების მართვა (HR); საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა (PR); გამყიდველ-კონსულტანტი; დაზღვევის აგენტი; ამ ეტაპზე კიდევ ერთხელ ხორციელდება აღნიშნულ პროგრამა 5 მიმართულებით. სახელმწიფოს მიერ დაგეგმილია პროგრამის კიდევ ერთი ციკლის განხორციელება, სადაც ინტერბიზნესის აკადემია უფრო მრავალფეროვან პროგრამებს შესთავაზებს მოსარგებლეებს.

2016 წლის ბოლოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ, ინტერბიზნესის აკადემიას „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელებაში განსაკუთრებული თანამშრომლობის და დასაქმების ხელშეწყობისათვის განეული ღვაწლისათვის, საუკეთესო პარტნიორის ტიტულის სერთიფიკატი და სპეციალური სიგელი გადასცა, რაც იმის აღიარებაა რომ ინტერბიზნესის აკადემია, პროფესიული განათლების სფეროში ლიდერი, ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული სასწავლებელია. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა იმ

ფაქტით, რომ სკკას მიერ ჩატარებულ, საუკეთესო სასწავლებლის გამოვლენის ბრენდირების ღონისძიებაში, ინტერბიზნესის აკადემიამ უკვე მეორედ, უმაღლესი 5 კარსკვლავი დაიმსახურა. მიღწეული შედეგი არ გვაძლევს თვითკმაყოფილების და მოდუნების უფლებას, პირიქით, ეს მოტივაციაა, რომ უფრო უკეთ ვიმუშაოთ და უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ, რათა კიდევ უფრო მეტად გავხდეთ ცნობადი და დიდხანს დავიკავოთ ლიდერის პოზიცია პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში. აკადემიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს, რომლის საქმიანობა მიმდინარეობდა აკადემიის ერთწლიანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმის შესაბამისად. პრიორიტეტული იყო შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის სრულყოფილად განხორციელება; მოდულური პროფესიული პროგრამების დამატება; სასერთიფიკატო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; აკადემიის სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ტრენინგები; პროფესიული მასწავლებლების ტრენინგები შეფასების ინსტრუმენტებისა და კალენდარული გეგმების შემუშავებაში; სტუდენტთა კმაყოფილების დონის დადგენა სასწავლო პერსონალის, სწავლების ხარისხისა და ადმინისტრაციის მუშაობასთან დაკავშირებით; თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება; საანგარიშო წელს აკადემიამ გარდა არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა, თვითშეფასების ანგარიშით დაიმატა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ოფისის მენეჯერის და სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული პროგრამები. სადაზღვევო აგენტის პროგრამის დამატების საჭიროება განაპირობა ჩატარებულმა კვლევამ, რომლის საშუალებით გამოვლინდა სადაზღვევო აგენტის პროფესიულ კადრებზე მოთხოვნა. პროგრამაზე მუშაობის დაწყებას წინ უძღვოდა მოლაპარაკებები და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს სადაზღვევო ბაზარის ლიდერ კომპანიასთან, სს „აღდაგთან“, სადაზღვევო აგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებაში ჩართულობაზე. აღდაგი ასევე გახდა ჩვენი პარტნიორი და დამსაქმებელი. პროგრამამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის # 12 გადაწყვეტილებით, ინტერბიზნესის აკადემიას მიენიჭა უფლებამოსილება, სადაზღვევო აგენტის მე-4

საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე. ინტენსიურად ტარდებოდა ღონისძიებები სტუდენტების პროფესიული ორიენტაციისათვის. ამ მიზნით ადმინისტრაციის მიერ საინფორმაციო-გაცნობითი და კონსულტირების მიზნით მოწვეული იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენლები. სტუდენტებს კონსულტირება გაენია სამუშაოს მოძიებაში, რეზიუმესა და სამოტავაციო წერილის შედგენაში, დამსაქმებელთან გასაუბრებისათვის მომზადებაში, შრომის ბაზარზე ქცევის წესებში. ჩატარდა ტრენინგი და ჯგუფური კონსულტირების სესია სამუშაოს ძიების შესახებ "შიიღეთ მონაწილეობა! ისწავლეთ! იპოვეთ სამსახური". ამავე მიზანს ემსახურებოდა ჩვენი პარტნიორი "ვისოლჯგუფის" ტრენინგების ვიზიტი, რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგები სერვის მენეჯმენტის მიმართულებით. კერძოდ, ეფექტური კომუნიკაცია, მომსახურება, დროის მართვა, სამუშაო პროცესების ორგანიზება და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძიება მიმართული იყო აკადემიის სტუდენტების შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში ხელშეწყობასა და დახმარებისათვის. აკადემიის სტუდენტებმა გამოცდილების მიღების მიზნით, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამინისტროს სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ დასაქმების რიგით მეათე ფორუმში, რომელიც ჩატარდა „ექსპო-ჯორჯიაში“. ფორუმზე წარმოდგენილი იყო 40 მსხვილი და საშუალო რეალური და აქტიური ვაკანსიების დამსაქმებელი სხვადასხვა სფეროდან. სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პირადად გასაუბრებოდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. ვინაიდან ინტერბიზნესის აკადემია წელს პირველად განახორციელებს მოდულურ პროგრამებს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგებსა და შეხვედრებში მონაწილეობა, რომელიც მოდულური პროგრამების, იგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებს და პროგრამის სტრუქტურაში, შეფასების ინსტრუმენტებში, შიდა და გარე მხარდაჭერის ჯგუფების საქმიანობის უკეთ გარკვევაში დაეხმარებოდათ. ასეთი შეხვედრები გაიმართა სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, სადაც ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფების ფუნქციონირების შესახებ, ჩატარდა შეხვედრა საავტორიზაციო და მინიტორინგის

ვიზიტების დროს გამოვლენილი ტიპური ხარვეზებსა და პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესთან დაკავშირებით, მოდულური პროგრამის შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერებასა და მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესების მიმდინარეობის საკითხებზე. აკადემიაში მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგების კონსულტაციებისათვის იმყოფებოდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე მხარდაჭერის ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა ტრენინგი მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგებისათვის. ასევე მოდულური პროგრამების და მოდულების ადაპტირების შესახებ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდნენ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.

საანგარიშო წელი ასევე გამორჩეული იყო სტუდენტების აქტივობებითაც. აკადემიაში ჩატარდა ინტერბიზნესის აკადემიის სტუდენტთა მე-5 კონფერენცია თემაზე "ცოდნა სიმდიდრეა". კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგნენ ჯანდაცვის, სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების და ინჟინერიის მიმართულების პროფესიული პროგრამების სტუდენტები. საუკეთესო თემის ავტორებს გადაეცათ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის, ხოლო ორგანიზატორებს, თემების ხელმძღვანელებს და კონფერენციის ყველა მონაწილე სტუდენტს, სერტიფიკატები. საუკეთესო მოხსენებების ავტორებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, ხოლო შემდეგ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ეგიდით უფლისციხეში ჩატარებულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა II კონფერენციაზე "პროფესიული განათლების სიახლეები და გამოწვევები", სადაც მოხსენებებით გამოვიდა აკადემიის პროფესიული მასწავლებელი და ასევე პროფესიული პროგრამის სტუდენტი, რომელთა მოხსენებებმა კონფერენციის ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებაში დიდი

ინტერესი და მოწონება დაიმსახურა აქტუალობისა და პრიორიტეტულობის გამო. აკადემიის სრტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში, კერძოდ, სკვას მიერ ჩატარებულ ტურნირში ბუმტებით ფეხბურთი და იმყოფებოდნენ ექსკურსიებზე წალკაში, დამბაშის კანიონში და აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში. აკადემიის ადმინისტრაციამ სტუდენტებს უმასპინძლა ხალისიან და მხიარულ საახალწლო ზეიმზე. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, კერძოდ ოფისის მენეჯერის პროფესიული პროგრამის სტუდენტები გაცნობის მიზნით იმყოფებოდნენ საქართველის ეროვნულ არქივში, სტაჟირებაზე ვისოლ ჯგუფში და ნამძალადევის რაიონის გამგეობაში, სადაც სტუდენტებს რაიონის გამგებელმა პირადად გადასცა სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გაზრდილია, ხოლო სტუდენტთა დენადობა შემცირებული. საანგარიშო წელს სასწავლო წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირდა 123, ხოლო - სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა/შეუწყდა 16 სტუდენტს, მაჩვენებელი გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაუმჯობესებულია. შენარჩუნებული იყო პროფესიულ სტუდენტთა დასწრების 80-90%-იანი მაჩვენებელი, პროფესიულ მასწავლებელთა მხრიდან გაცდენა და დაგვიანებები თითქმის არ დაფიქსირებულა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საინტერესოდ და სრულყოფილად.

აკადემია აქტიურად ატარებდა მოლაპარაკებს საერთაშორისო საგანმანათლებლო პარტნიორობის ფარგლებში. ამის შედეგია ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება „ნოლიჯ ჰაბ გლობალ უნივერსიტეტი ჯორჯიასთან“, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საკონსულტაციო კომპანია "Caucasus consulting Platform" და საბერძნეთის "NOBILIS AIR GOURP"-ს შორის საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელებაზე, მიმართულებებით: "ტურიზმი და სასტუმრო საქმე", "ტურიზმი და ჯანმრთელობა", "ავიაცია და ტურიზმი" და სხვ. პროგრამების განხორციელება დაგეგმილია საქართველოსა და საბერძნეთში.

საანგარიშო წელს შეძენილი იქნა ტექნიკა და ინვენტარი, კერძოდ, კომპიუტერები,

პრინტერი, ტელევიზორი, გამათბობელები, განახლდა და მოდერნიზაცია ჩატარდა 10  
კომპუტერს, შეძენილი იქნა ავეჯი და ინვენტარი ადმინისტრაციისათვის, სასწავლო  
პერსონალის დასტუდენტებისათვის. \_\_